ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ზ 939-11 4 07 2011წ.

დადგენილება №001080
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

04.07.2011წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსმა ზვიად კერვალიშვილმა განვიხილე 2011 წლის 31 მაისის №001080 მითითება და 13 ივნისის №001080 შემოწმების აქტი შედგენილი შ.პ.ს. "ბანი 2007"-ის (მის.: ქ. თბილისი, წერნაკის / ნავთლუღის №2/43 და ნავთლუღის №45) მიმართ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის "ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, წერნაკის / ნავთლუღის №2/43 და ნავთლუღის №45-ში შ.პ.ს. "ბანი 2007"-ის მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, სავაჭრო, საოფისე) მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/27 11.01.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევით. კერძოდ, "გ-ა" მონაკვეთში "1-1" ღერძზე არსებულ კოლონებს მონაცვლებული აქვთ ადგილი. ±0.00 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე, დაახლოებით 20სმ-ით. +1.60 საპროექტო ნიშნული არ შეესაბამება არსებულს.

სამსახურის სპეციალისტის მიერ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2011 წლის 31 მაისს შედგენილი იქნა მითითება №001080 (მხარეს ჩაბარდა ობიექტზე განთავსებით 2011 წლის 1 ივნისს), რომლითაც განესაზღვრა 10 (ათი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2011 წლის 13 ივნისს "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001080 (მხარეს ობიექტზე განთავსებით 2011 წლის 15 ივნისს), რომელშიც

“ბანი 2007”-ის მიერ მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2011 წლის 27 ივნისს და 4 ივლისს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვები. საქმის განხილვათა თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა შ.პ.ს. “ბანი 2007”-ის წარმომადგენელი.

ობიექტი გადამოწმებულ იქნა სამსახურის მთ. სპეციალისტის ი. მაზიაშვილის მიერ, რომელმაც დააფიქსირა მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. “ბანი 2007”-ის მიერ ჩადენილია “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის 23-მუხლის “ა” პუნქტის “ა.გ.” ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, წერნაკის / ნავთლუღის №2/43 და ნავთლუღის №45-ში შ.პ.ს. “ბანი 2007”-ის მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, სავაჭრო, საოფისე) მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/27 11.01.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევით. კერძოდ, “გ-ა” მონაკვეთში “1-1” ღერძზე არსებულ კოლონებს მონაცვლებული აქვთ ადგილი. ±0.00 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე, დაახლოებით 20სმ-ით. +1.60 საპროექტო ნიშნული არ შეესაბამება არსებულს.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”, “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით, მე-13 მუხლის 14-ე პუნქტით, მე-13 მუხლის 17 პუნქტით, მე-13 მუხლის 18-ე პუნქტით, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტითა და 23 მუხლის “ა” პუნქტის “ა.გ.” ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. “ბანი 2007” დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. “ბანი 2007”-ს დაევალოს, “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების **დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. “ბანი 2007”-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით "დაკისრებულის ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში) დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსი ზ. კერვალიშვილი

საგადახდო დავალება
Payment Order

GEL

თარიღი / Date: 25/07/2011

ს.ს. თიბისი ბანკის ძარღვახიძვილის ფილიალი

ადამხდელი / Sender

შპს შანი 2007' - 206316388

რეფერენსი / Ref. Num.

806010446

გადამხდელის ანგარიში/ Sender's Account

GE87TB0656536050100002

თანხა / Amount

4000 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

ბანკის კოდი / Bank Code

ქ.თბილისი, სს თიბისი ბანკის სათაო ბანკი

TBCBGE22

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე
Tax Payment - Information About Tax Payer

დასახელება / Name

შპს შანი 2007'

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code

206316388

მიმღები / Receiver

ს.ზ.ნის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თბილისი)

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. / Treasury Code

300773263

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank /Treasury

ბანკის კოდი / Bank Code

"სახელმწიფო ხაზინა"

TRESGE22

შესრულების თარიღი / Operation Date

25/07/2011

ბანკში შემოსვლის თარიღი/Received

25/07/2011

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ – სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება სამშ. სამართალდარღვევის საქმეზე N 001080, 4.07.11

ხელმოწერა
Signature

011039

შტამპის ადგილი

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ი დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ ბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ელმოსანებულ ხელშეკრულებას; ბანკს ანიჭებს უფლებას ნებისმიერ დროს და ნებისმიერი რაოდენობით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსგან მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცი ლიენტის შესახებ (მათ შორის პერსონალური მონაცემები).

7/25/2011 12:36:29 P

806010446

ნინო ბეგლარაძე

თანხმობა

თბილისი 2012 წლის ხუთი მარტი

მე, არქიტექტორი ნიკოლოზ სლოვინსკი (დაბადებული 25.03.1982წ. პირადი #01029009773, რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი თბილისი ჩიქოვანის 20, ბ. 82), როგორც პროექტის ავტორი, უარს ვაცხადებ თბილისში წერნაკის/ნავთლუღის 2/43 ნავთლუღის 45-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტების შემდგომ დამუშავებაზე და თანახმა ვარ, დამკვეთმა სხვა არქიტექტორს შეუკვეთოს ზემოთაჩნიშნული შენობის საპროექტო დოკუმენტების დამუშავება და შესაბამისად შეიცვალოს შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტი.

ნიკოლოზ სლოვინსკი ნიკოლოზ სლოვინსკი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N120200654
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	05.03.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნარგიზ მინდიაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 29
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	95-00-37; 95-78-07
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	31781474999812

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თორმეტი წლის ხუთ მარტს, მე, საქართველოს ნოტარიუსს **ნარგიზ მინდიაშვილს** სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი მარჯანიშვილის ქ. №29, **მომმართა: ნიკოლოზ სლოვინსკიმ**. მან წარმოადგინა ***თანხმობა*** და მოითხოვა თანხმობაზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა, წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ნიკოლოზ სლოვინსკიმ** (დაბ. 25.03.1982წ. თბილისში, პ/მ №ბ 1359892, პ. №01008018921, გაც. 15.03.2010წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ, მცხ. თბილისი, ს. ჩიქოვანის ქ. №20, ბინა №82) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. ხელმომწერს განემარტა, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს თანხმობაში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. შემდეგ **ნიკოლოზ სლოვინსკიმ** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წარმოდგენილ თანხმობას.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (2,00) ორი ლარი, *თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა*, აგრეთვე დღგ: (0,36) ოცდათექვსმეტი თეთრი, *თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 169-ე მუხლისა*. პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) **ელექტრონულ** სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, *თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507)* 39-ე მუხლისა. სულ (4,36) ოთხი ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი.

ნოტარიუსი ნ. მინდიაშვილი